საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-510

21/07/2022

ქ. თბილისი

,,შპს „ინსონის“ გაჯის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ლიზო 2020“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის N2-443 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს „ინსონის“ გაჯის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ლიზო 2020“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 აპრილის N2-443 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ლიზო 2020-ს“.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლიზო 2020-ის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი